სახელმწიფო ინსპექტორის

ბრძანება №10

2020 წლის 25 დეკემბერი

ქ. თბილისი

**სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 37-ე მუხლის მე-4 ნაწილის და „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და პირობები (დანართი №1) და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი (დანართი №2).

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილებების გამოქვეყნების და საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 16 ნოემბრის №6 ბრძანება (www.matsne.gov.ge, 17/11/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010100000.62.074.016015).

მუხლი 3

ამ წესის ძალაში შესვლის შემდგომ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება პირველად განხორციელდეს წესის ძალაში შესვლიდან 2 თვის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისთვის ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებული დანართით გათვალისწინებულია აღნიშნულზე მეტი ვადა.

მუხლი 4

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის პირველი იანვრიდან.

სახელმწიფო ინსპექტორი ლონდა თოლორაია